ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 60

20 ივლისი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

11:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელი.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

თინათინ ნიბლოშვილი

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

ზაზა მამალაძე

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

სხდომის დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ილია და ნინო ნაკაშიძეების ქუჩის შესახვევისთვის მსახიობ კახი კავსაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

2. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოტე მესხის შესახვევისთვის კინორეჟისორის სერგო ფარაჯანოვის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

3. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, შოთა ნიშნიანიძის გასასვლელისთვის მომღერალ ზურაბ დოიჯაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

4. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ტყის ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ექიმის, პროფესორის იოსებ აბაკელიას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.

მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ყველა ის საზოგადო მოღვაწე, ვის სახელსაც დღეს ქუჩებს ვანიჭებთ, ქართული და მსოფლიო საზოგადოების მიერ სიცოცხლეშივე აღიარებული და დაფასებული იყო.

პირველი საკითხის განხილვისას მიხეილ ამაშუკელმა ისაუბრა კომისიის ინიციატივაზე. კრწანისის რაიონში, ილია და ნინო ნაკაშიძეების ქუჩის შესახვევი იძლევა დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბების შესაძლებლობას. კომისიამ დადებითი რეკომენდაცია

გაუწია საკითხს, რათა აღნიშნულ ქუჩას მიენიჭოს საქართველოს სახალხო არტისტის, კოტე მარჯანიშვილის და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის კახი კავსაძის ქუჩის სახელი.

მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებს გააცნო სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში შემოსული კინოდოკუმენტალისტის გია ალავიძის განცხადება, რომლითაც ითხოვდა კოტე მესხის შესახვევს მინიჭებოდა სერგო ფარაჯანოვის სახელი. ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით კოტე მესხის შესახვევი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად, ასევე კომისია ითვალისწინებს განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ ქართული კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა მრავალრიცხოვან ხელმოწერებს.

კომისიის წევრებმა მიხეილ ამაშუკელთან ერთად იმსჯელეს შოთა ნიშნიანიძის გასასვლელისთვის მომღერალ ზურა დოიჯაშვილის სახელის მინიჭების შესახებ. მან 40 წელი გაატარა სცენაზე, იყო მრავალი ჯილდოს მფლობელი. ზურაბ დოიჯაშვილს გადაეცა საქართველოსა და ისრაელს შორის მშვიდობისა და მეგობრობის სიგელი.

კომისიის წევრებმა ასევე განიხილეს ჩუღურეთის რაიონში ტყის ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის პროფესორ იოსებ აბაკელიას სახელის მინიჭების საკითხი. ის გახლდათ საქართველოში მეცნიერული ფთიზიატრიის ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1922 წელს მისი თაოსნობით თბილისში დაარსდა ტუბერკულოზის ამბულატორია, შემდეგ კი ტუბერკულოზის რესპუბლიკური ინსტიტუტი.

კომისიის წევრების გადაწყვეტილებით წარმოდგენილი საკითხები დადგენილი წესით დარეგისტრირდება ინიციატივებად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი